# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№75 (24.955) სამშაბათი, 19 - 20 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 18-23 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 23 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს, ღამით, მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

## კრიალოსა N იუსი

რიგგარეშე სესია შეიძლება მოწვეულ იქნას პარლამენტის წევრების გარკვეული რაოდენობის მიმართვის საფუძველზე, პრეზიდენტის მხრიდან, სავარაუდო დღის წესრიგს აყენებს სწორედ დეპუტატების ჯგუფი, - განაცხადა გუშინ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა; „დანიშნულია რიგგარეშე სესია, რომლის გახსნას სჭირდება პლენარული სხდომა, პლენარულ სხდომას სჭირდება დღის წესრიგი და საკითხები, რაც დააყენეთ, ვერ მოხვდება ამ დღის წესრიგში. ეს არის ის წრე, რომელიც იკვრება. პრეზიდენტიც ჩააყენეთ უხერხულ მდგომარეობაში, რადგან დანიშნულია სესია, მაგრამ ვერ შედგება, რადგან სხდომას დღის წესრიგი არ აქვს.“

* * *

აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ჯეიჰუნ ბაირამოვმა და არარატ მირზოიანმა, დელეგაციებთან ერთად, შეხვედრები გამართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან. „შეხვედრაზე ხაზი გაესვა რეგიონში სტაბილურობის და მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად ერთიანი ძალისხმევის მნიშვნელობას. ქართული მხარე მიესალმა ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების სტუმრობას თბილისში და კიდევ ერთხელ გამოხატა მზაობა, ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყოს რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას“, - აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

* * *

მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ და ევროპელმა პარტნიორებმაც დაინახონ, რომ საქართველოში არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებსაც გულწრფელად სურთ ევროკავშირთან დაახლოება და კანდიდატის სტატუსის მიღება, - განაცხადა „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა, რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ რიგგარეშე სესიაში მონაწილეობაზე უარის თქმას გამოეხმაურა.

* * *

სუს-ის თანამშრომლებმა 16 ივლისს დააკავეს სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილე იოსებ გოგაშვილი. მას ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ასევე, პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, რაც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

მოამზადა
ია შველიძემ

# თორნიკე რიჟვაძე ყატარის ელჩს შეხვდა

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ საქართველოში ყატარის ელჩთან ჰასან აჰმედ ალი მუჰამედ ალ მუტავასთან გაცნობითი შეხვედრა გამართა*

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ელჩს რეგიონის ტურისტული პოტენციალი და საინვესტიციო გარემო გააცნო. შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობას ვაჭრობის, ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროებში.

თორნიკე რიჟვაძემ ელჩს მადლობა გადაუხადა აჭარაში სტუმრობისთვის და კატარის სახელმწიფოსთან მნიშვნელოვანი კავშირების განვითარებისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს მიმართავს

*„ამა წლის 9 ივნისს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, აღნიშნული რეზოლუცია უამრავ დაუსაბუთებელ ჩანაწერს და ფაქტობრივ უზუსტობას შეიცავს, რასთან დაკავშირებითაც მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში, დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ“ - მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს მისადმი გაგზავნილ წერილში*

პრემიერის განცხადებით, ევროპარლამენტის რეზოლუციაში საუბარი იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა რეალურად არა პრემიერ-მინისტრის, არამედ პოლიტიკიდან გასული „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის მიერ იმართება, მისთვის და ქვეყნისთვისაც შეურაცხმყოფელია.

ამასთან, ღარიბაშვილის თქმით, საქართველოში არის კრიმინალური წარსულის მქონე რამდენიმე ფინანსურად შეძლებული პირი, რომელიც პოლიტიკასა და მედიაზე აქტიური გავლენით სარგებლობს და ამ გავლენას ოპოზიციის რადიკალური ფრთის სასარგებლოდ იყენებს.

„გასაგებ მიზეზთა გამო, ამ წერილში არ შევჩერდები ბიძინა ივანიშვილის გამორჩეულ წვლილზე 2012 წელს საქართველოში არადემოკრატიული მმართველობის დასრულებასა და 2012 წლიდან ქვეყნის ფუნდამენტური დემოკრატიული წინსვლის უზრუნველყოფაში. ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებაზე არაფორმალური მმართველობის შესახებ, რომელიც პირადად ჩემთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია. საუბარი იმაზე, რომ მთავრობა რეალურად არა პრემიერ-მინისტრის, არამედ პოლიტიკიდან წელიწადნახევრის წინ საკუთარი ნებით გასული ადამიანის მიერ იმართება, შეურაცხმყოფელია პირადად ჩემთვის და ჩემი ქვეყნისთვის.

გარდა ამისა, რეზოლუციის ჩანაწერები გამოიყენება ოპოზიციის რადიკალური ნაწილის მიერ საქართველოში პოლარიზაციის კიდევ უფრო გასაღრმავებლად და შესაბამისად, ჩემი ქვეყნისთვის ამ თვალსაზრისითაც პრობლემურია.

ასევე, რეზოლუცია პირდაპირ იქნა გამოყენებული შვეიცარიული ბანკის მიერ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური გადარიცხვების შესაჩერებლად. შესაბამისად, ბანკი ევროპარლამენტის დოკუმენტს იყენებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის კანონიერი უფლებების შესალახად, რაც, ასევე, ქვეყნის დისკრედიტაციას ახდენს.

მოხარული ვარ, რომ ევროპულმა კომისიამ და ევროპულმა საბჭომ ევროპარლამენტის ყოვლად უსაფუძვლო მოწოდება არ გაიზიარეს და პირადად თქვენ ამისათვის მადლობას გიხდით.

თუმცა, ევროპარლამენტის რეზოლუციის უარყოფითი გავლენის სრულად გასანეიტრალებლად, მნიშვნელოვანია, ევროპულმა კომისიამ მკაფიო პოზიცია გამოხატოს იმ უსაფუძვლო ბრალდებების მიმართ, რომლებიც რეზოლუციაშია გამოთქმული. ევროპული კომისიის მიერ მკაფიო პოზიციის გამოხატვა არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ ქართველ ხალხს ევროპული სტრუქტურების მიმართ უსამართლობის განცდა არ გაუღრმავდეს და ოპოზიციის რადიკალურმა ფრთამ ევროპარლამენტის რეზოლუცია პოლარიზაციის გაღვივებისთვის არ გამოიყენოს.

იხ. №2-2 გვ.

## პოლიტიკურ საკითხებსა და პარტიის საშუალოვადიან გეგმებზე იმსჯელეს

2

## «მეწარმეობისა და პოლიტიკის დიალოგის ხელშეწყობა აჭარაში მცხოვრები ქალებისთვის»...

5

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# პოლიტიკურ საკითხებსა და პარტიის საშუალოვადიან გეგმებზე იმსჯელეს

„ქართულმა ოცნებამ“ რეგიონული შეხვედრები ბათუმიდან დაიწყო. გუშინ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძე, რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე და აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიფუვაძე აჭარაში პარტიის ადგილობრივ ლიდერებს, მუნიციპალიტეტების მერებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებს შეხვდნენ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ზაალ მიქელაძე, რესან კონცელიძე, ელისო ბოლქვაძე, ანზორ ბოლქვაძე, ალეკო ტაბატაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე.

შეხვედრაზე მიმდინარე პოლიტიკური საკითხები განიხილეს და მმართველი პარტიის საშუალოვადიან გეგმებზე იმსჯელეს. პარტიის ლიდერებმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შიდა და საგარეო პოლიტიკურ პროცესებზეც.

ანკა ჩხიკვაძე

# ბათუმში რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

ზიჟრია დავლაძე 579 25 25 72

„რუსეთი კლავს“ - ამ სახელწოდებით 17 ივლისს ბათუმში კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გაიმართა. შეკრებილებმა ცენტრალური პარკიდან ევროპის მოედნამდე ბანერებით და დროშებით მსვლელობა მოაწყვეს. მათ საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდეს, შეჩერდეს რუსეთ-უკრაინის ომი და აგრესია, სიტყვით გამოსვლისას კი ახსენეს უკრაინაში მომხდარი არაერთი უმძიმესი ფაქტი. გაჟღერდა საქართველოსა და უკრაინის ჰიმნები, იყო შეძახილები: „რუსეთი აგრესორია“, „დასრულდეს ომი“ და ა. შ. აქციაზე ბათუმელებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, მათ შორის უკრაინელები და ბელარუსები. ბელარუსის დიასპორამ უკრაინის სოლიდარობის ნიშნად ევროპის მოედანზე ბანერები განათავსა.

- შეჩერდეს აგრესია უკრაინაზე, რომელიც უკვე 100 დღეზე მეტია გრძელდება. ამ დრომდე ნადგურდება ქალაქები, სოფლები, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის ბავშვები. რუსეთი ტერორისტული ქვეყანაა. უნდა შეჩერდეს რუსული ფაშიზმი. მსოფლიოს თითქმის ყველა ქალაქში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. ჩვენც, ბათუმში მყოფმა უკრაინელებმა აუცილებლად უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი და ხმა მივაწვდინოთ შესაბამის ორგანიზაციებს, - თქვა გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას უკრაინის მოქალაქე ტატიანა ჩერნიშენკომ.

ბათუმში უკრაინის მხარდასაჭერი აქციები რეგულარულად ტარდება, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და მოქალაქეები მონაწილეობენ.

- ყოველთვის დავაფიქსირებ იმას, რომ რუსეთი ოკუპანტია, მას უნდა ქვეყნები და ადამიანები ემორჩილებოდნენ, თუმცა ჩვენ არასოდეს შევეგუებით მათ ქმედებებს. წარსულს ჩაბარდა საბჭოთა კავშირი, წარსულს უნდა ჩავაბაროთ რუსეთის პოლიტიკა. აუცილებლად ამოვუდგებით მხარში უკრაინელ ხალხს. მიხარია, რომ ბათუმი მოწინავე ქალაქია ამ კეთილ საქმეში, - გვითხრა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ რუბენ აბულაძემ.

ბათუმში მშვიდობიანი აქცია-მსვლელობა უახლოეს მომავალშიც იგეგმება.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს მიმართავს

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, შეფასების დოკუმენტში, რომელიც ევროპულმა კომისიამ საქართველოსთან დაკავშირებით გამოაქვეყნა, უკრაინასთან და მოლდოვასთან მიმართებით შედგენილი შეფასების დოკუმენტების ანალოგიურად, ნახსენებია სიტყვა „დეოლიგარქიზაცია“. ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები და ევროპარლამენტში მათი ლობისტები ამ ჩანაწერს აქტიურად იყენებენ და აღნიშნავენ, რომ ევროპულმა კომისიამ დეოლიგარქიზაციის დათქმა დოკუმენტში ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო შეიტანა. როგორც უკვე აღვნიშნე, ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკასა და მედიაზე არავითარ ფორმალურ თუ არაფორმალურ გავლენას არ ფლობს და ოლიგარქად ვერავითარი სამართლებრივი თუ პოლიტიკური კრიტერიუმით ვერ შეფასდება... იმისათვის, რომ ევროპული კომისიის შეფასების დოკუმენტი არ იქნეს გამოყენებული მანიპულაციისა და საქართველოს მმართველობის სისტემის დისკრედიტაციისთვის, ჩემი თხოვნაა, კომისია მკაფიოდ გაემიჯნოს დეოლიგარქიზაციის შესახებ ჩანაწერის პერსონიფიკაციას. ამ შემთხვევაშიც, ევროპული კომისიის პოზიციის სიცხადე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არ დარჩეს სივრცე სპეკულაციებისთვის, ქართულ საზოგადოებაში შევინარჩუნოთ მაღალი ნდობა ევროპული სტრუქტურების მიმართ და ხელი შეეწყოს პოლარიზაციის ხარისხის შემცირებას საქართველოში“, - ნათქვამია პრემიერის წერილში.

# ბეტონის საფარს აგებენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***2016 წლის ზაფხულში კოკისპირული წვიმისა და მეწყერული პროცესების განვითარების შემდეგ, ადიდებულმა ტბეთისწყალმა კვირიაულის ტერიტორიაზე არსებული გზის სავალი ნაწილი იავარქმნა და ხიდი დააზიანა***

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით კვირიაულის უბანში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ხიდი გაკეთდა და გზის სავალი ნაწილიც შეიცვალა. შარშან, დეპარტამენტის ბიუჯეტით, კვირიაული-ქვაბთის 1,1-კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტი დაიგო, ზღუდარები, სანიაღვრე არხები მოეწყო. შუახევი-უჩამბის საავტომობილო გზაზე მხოლოდ ქვაბთა-კერკეტვანას მონაკვეთი რჩებოდა ასფალტ-ბეტონის გარეშე. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, გზაზე ბეტონის დუღაბი დაასხეს. 21-კილომეტრიანი მონაკვეთიდან თითქმის 19 კილომეტრზე ასფალტ-ბეტონის საფარია დაგებული.

# საინვესტიციო ფორუმი – ბათუმში

21 ივლისს ბათუმი საინვესტიციო ფორუმს უმასპინძლებს.

ბიზნესღონისძიება IBCCS Georgia და Cyprus Georgia Business Club-ის და აჭარის მთავრობის მხარდაჭერით ტარდება.

ფორუმს ბიზნესწრეების წარმომადგენლები დაესწრებიან საქართველოდან, პოლონეთიდან, კვიპროსიდან, ისრაელიდან, ესტონეთიდან, დუბაიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საინვესტიციო ფორუმში უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებული მხარეები, ასევე სოფლის მეურნეობის, სავაჭრო/ლოგისტიკის, მეღვინეობის, ტურიზმის, ტექსტილის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მშენებლობის განვითარების და გემების მართვის ბიზნესის სფეროებიდან 150 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

ფორუმის მონაწილეები აჭარის საინვესტიციო პოტენციალს, საქართველოში ბიზნესის დაწყების რეგულაციებს, საპრივატიზაციო ობიექტებს და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებს გაეცნობიან.

ანკა ჩხიკვაძე

## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

**„საქართველოს ევროპული ფორუმის“ საჯარო შეხვედრა ჩატარდა ბსუ-ში. არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის სკოლის“ ინიციატივით, შეიქმნა სამოქალაქო პლატფორმა „ევროპული ფორუმი“, რომლის მიზანია საზოგადოების ჩართვა სახელმწიფო და დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობაში. პლატფორმის ავტორი ლევან ცუცქირიძე აცხადებს, რომ საზოგადოებაში ევროპული იდეები პოპულარულია, თუმცა რეალურად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები არ ფუნქციონირებს. მისი აზრით, საზოგადოება, ისევე როგორც პოლიტიკური სპექტრი, პოლარიზებულია.**

* * *

**„საქართველოს ახალგაზრდები ვაქცინაციისთვის“- USAID-ისა და „იუნისეფის“ მხარდაჭერით, მოხალისეობრივი, საგანმანათლებლო პროექტი დაიწყო. პროექტში საქართველოს 63 მუნიციპალიტეტიდან 130-ზე მეტი მოზარდია ჩართული. მიზანია ვაქცინაციის შესახებ მოზარდების ინფორმირება, ჩართულობა და მონაწილეობა, რათა მათ ხელი შეუწყონ ვაქცინაციის მაჩვენებლის გაზრდას პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში.**

* * *

**ბათუმში აჭარის დახურული ჩემპიონატი გაიმართა სპორტულ ნადირობაში. შეჯიბრებაში ჩვენი რეგიონის 50-მდე მოყვარულმა მონადირემ მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრების ორგანიზატორების თქმით, სპორტული ნადირობა არის როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ასევე ბრაკონიერობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება.**

* * *

**ხელვაჩაურის სასპორტო სკოლამ კარატეში საერთაშორისო ტურნირს „ოუფენ ბათუმს“ უმასპინძლა. პირველი დღე საწვრთნელ სემინარს მოიცავდა, მეორე დღეს კი ასპარეზობა ახალგაზრდებსა და უფროსი ასაკის სპორტსმენებს შორის კუმიტეში გაიმართა. სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. აჭარის ნაკრებიდან ჩემპიონები გახდნენ მერაბ ლომაძე, საბა სურმანიძე, ლუკა შანთაძე და გოგა გვიანიძე. ოქროს მედალი მოიპოვა ასევე ქუთაისელმა ვახტანგ შარადენიძემ. ტურნირის მესამე დღე უმცროსი ასაკის სპორტსმენების გამოსვლით დასრულდა.**

* * *

**ბათუმში, აჭარის კიკბოქსინგის ფედერაციის ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კიკბოქსინგში კადეტთა და ჭაბუკთა შორის, რომელიც K 1-ის ვერსიით ჩატარდა. ასპარეზობაში სხვადასხვა წონითი კატეგორიის 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრება როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიონალურ კიკბოქსინგში ჩატარდა. სამოყვარულო შეჯიბრში ბათუმელმა სპორტსმენებმა ოთხი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. გამარჯვებულები გახდნენ ოლეგ ბერიძე, ბოგდან მოროზენკო, დემეტრე მოდებაძე და არჩილ მახარაძე. პროფესიონალურ ორთაბრძოლებში სანდრო მგელაძემ გაიმარჯვა.**

მოამზადა
ნათია იმნაიშვილმა

# ლაშა ბოლქვაძე: ხელისუფლება, ხალხი და ოპოზიცია უნდა იყოს მიმართული ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობისაკენ...

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

*მიტინგები, დემონსტრაციები და ურთიერთდაპირისპირება ქართული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა, რასაც ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიაც თვალნათლივ ადასტურებს, ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ ექსპერტები და პოლიტიკოსებს კომპრომისისკენ მოუწოდებენ. სამწუხაროდ, საქართველოში პოლარიზებული პოლიტიკური გარემოა, რაც ჩვენი საზოგადოების და დასავლეთის შეშფოთებას იწვევს, ამიტომაც გვირჩევენ დასავლელი მეგობარები, რომ პოლიტიკურმა კლასმა შეთანხმებას მიაღწიოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებში... მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით არც ოპოზიცია და არც მმართველი გუნდი კომპრომისზე წასვლას არ აპირებს, არადა, ევროკომისიამ მკაფიოდ გვითხრა, რომ კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელია ვალდებულებების შესრულება და პოლარიზაციის დასრულება. არანაკლებ მნიშვნელოვანია უკრაინაში მიმდინარე ომი, რომელიც გარკვეულწილად ჩვენს ბედსაც გადაწყვეტს. ამ საკითხებზე გვესაუბრება აჭარის სავაჭრო-სამრწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბსუ-ის დოქტორანტი (ლინგვისტიკა-დიპლომატიურ დისკურსში) **ლაშა ბოლქვაძე**, რომელიც ამავე უნივერსიტეტში მიწვეულია იაპონური ენის ლექტორად.*

**- თავდაპირველად საშინაო პოლიტიკაზე ვისაუბროთ, დღეგანდელ საქართველოში არსებულ რეალობაზე რას იტყვით?**

- საქართველოში არსებულმა სიტუაციამ წარმოშვა გაღიზიანება ადამიანებში, უნდობლობა და უპატივცემულობა, რაც დაემსგავსა ქვეყნისათვის შეუფერებელ და მიუღებელ თამაშს. შედეგად წარმოიქმნა ქაოსი. ეს მდგომარეობა კი ბევრისთვის ზუსტადაც რომ სასურველია. ასეთი მდგომარეობა ხელს უშლის სახელმწიფოს განვითარებას. ამიტომ ხელისუფლება, ხალხი და ოპოზიცია უნდა იყოს მიმართული მშვიდობის, ურთიერთშეთანხმებისა და თანამშრომლობისაკენ, რაც აუცილებლად აისახება როგორც ქვეყნის შიდა, ისე - საგარეო კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

**- სახალხო მოძრაობა და მასთან აფილირებული ძალები პრემიერ-მინისტრის გადაყენებას და თანხმობის მთავრობის შექმნას ითხოვენ. რამდენად სამართლიანი და მიღწევადია მათი მოთხოვნა? და აქვე თანმდევი კითხვა: ოპოზიციის ნაწილმა უთანხმოება გამოავლინა მიტინგების წარმართვის სტრატეგიაში, ამაზე რას ფიქრობთ?**

- კონკრეტული პირების თანამდებობიდან გაშვების მოთხოვნა არ მიმაჩნია მართებულად. ეს არ არის პრობლემის გადაჭრის გზა. მთავარია ქვეყნის საჭიროებების განსაზღვრა, რათა არ შენელდეს და შეჩერდეს განვითარების პროცესები.

**- გარკვეულწილად, ოპოზიციის ულტიმატუმი ევროკომისიის ამასწინანდელმა დასკვნამ გამოწვია. 12 პუნქტს, რაც გაუღერდა საქართველოსთან დაკავშირებით, რამდენად შეასრულებს ეს ხელისუფლება?**

- სადაც ფუნდამენტური ცვლილებები ხდება და ქვეყნის მომავალი წყდება, არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს და შეაფერხოს იგი. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ეს შესაძლებელი უნდა იყოს.

**- თუ ევროკომისიამ 2023 წლის ბოლოსაც არ მოგვანიჭა კანდიდატის სტატუსი, საქართველომ რა უნდა მოიმოქმედოს?**

- საქართველომ უნდა გააგრძელოს სვლა დასახული მიზნისკენ.

**- არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება უკრაინაში, წყდება თუ არა ამ ქვეყანაში ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა?**

- რა თქმა უნდა, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გეოპოლიტიკის ცვლილებები გამოიწვია. რადგანაც ომი ჯერ ისევ მიმდინარეობს, მდგომარეობა ცვალებადია, ამიტომაც ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ეს განპირობებული იქნება ომის შედეგებით.

**- თითქმის ხუთთვიანმა ომმა უკრაინას სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით დიდი ზიანი მიაყენა. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- უკრაინას სამხედრო კუთხით ძალიან დიდი დანაკარგები აქვს, მკვეთრად შემცირებულია ეკონომიკური აქტივობა, განადგურდა ქვეყნის ინფრასტრუქტურა და, რაღა თქმა უნდა, ადამიანების სიცოცხლე, მილიონობით ლტოლვილია, შიმშილი. ჯერ რთულია იმის გათვლა, თუ რა ზიანი მიადგება ქვეყანას ომის დასრულებამდე.

**- რუსეთისა და დასავლეთის კავშირების აღდგენასთან დაკავშირებით როგორია თქვენი მოსაზრება?**

- რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების აღდგენა რთული წარმოსადგენია. ამას, შესაძლებელია, ძალიან დიდი დრო დასჭირდეს, რადგანაც ბევრმა ფაქტორმა აჩვენა, რომ რუსეთთან ეკონომიკური კუთხით თანამშრომლობა არაფრის მომტანი და არასანდოა.

**- ვხედავთ, რომ რუსეთი აშანტაჟებს დასავლეთს ბირთვული ომით, მაგალითად, რუსმა მაღალჩინოსანმა სერგეი ლავროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხეშია...**

- ასე მარტივად არ ხდება ბირთვული იარაღის გამოყენება, მით უმეტეს, ამ გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულება იოლი ნამდვილად არ არის. ეს არის ერთგვარი ხრიკი, რათა აიძულოს უკრაინა და მთელი მსოფლიო, უკან დაიხიონ. ვფიქრობ, კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში მას ეს ძალიან ცუდად დაუბრუნდება, მეტიც, მას უფრო დაუზარალებს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა.

**- ამერიკელი მაღალჩინოსნები (მაგალითად, სახელმწიფო მდივანი ბლინკენი) აცხადებენ, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ რუსეთი ამ ომში დამარცხდეს, მაგრამ ცნობილია, რუსეთს წლობით შეუძლია ომის წარმოება. ამ მხრივ დასავლეთის დახმარება უკრაინისადმი რა დასკვნის საფუძველს იძლევა?**

- მართალია, ომის დასრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუმცა სანქციებიც ისევ ძალაში დარჩება, რაც რუსეთს დროთა განმავლობაში უფრო მეტად დაასუსტებს, ქვეყანა გაღარიბდება. ასეთმა ვითარებამ შესაძლოა საზოგადოება გამოაფხიზლოს და მმართველის შეცვლა მოითხოვონ.

**- დაბოლოს, რა გავლენა ექნება რუსეთის გაძლიერებას ან ფიასკოს უკრაინაში მსოფლიოს ახალი წესრიგის ფორმირების თვალსაზრისით?**

- რუსეთისთვის გამარჯვებას სხვადასხვა სახე და მნიშვნელობა ექნება, როგორც გეოპოლიტიკური, ისე გლობალური თვალსაზრისით. მისი წარმატება, რა თქმა უნდა, მსოფლიოს წესრიგზე დიდ გავლენას მოახდენს, ეს კი ნატოსა და ევროკავშირის ძალის და დომინანტობის შესუსტებას გამოიწვევს. იმისათვის, რომ მსგავსი საშიშროება არ შეიქმნას, საჭიროა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

# „ფრაქციის 81 წევრიდან რიგგარეშე სესიაში მონაწილეობას არავინ მიიღებს“

***არ ვაპირებთ რადიკალური ოპოზიციის მიერ დაგეგმილ პარალელური, მოგონილ, საბოტაჟურ და შედეგთან მიმართებაში უპერსპექტივო პროცესში მონაწილეობას. ჩვენი ფრაქციის 81 წევრიდან რიგგარეშე სესიაში მონაწილეობას არავინ მიიღებს, - ასეთი განცხადება გააკეთა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გივი მიქანაძემ 18 ივლისიდან მოწვეულ რიგგარეშე სესიასთან დაკავშირებით***

გივი მიქანაძის თქმით, ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილს წერილით მიმართა, სადაც აღნიშნულია, რომ პროცესში, რომლის მიზანი არა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, არა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულება, არამედ პოლარიზაციის გაღრმავება და ხსენებული რეკომენდაციების საბოტაჟია, მონაწილეობას არ მიიღებს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბრიფინგზე განაცხადა, წარმოდგენილი ე.წ „დღის წესრიგი“ არ შეესაბამება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნებს, რადგან ისინი პოლიტიკური სუბიექტების მიერ არ დამუშავებულა, არ განხილულა და არ შეჯერებულა საკომიტეტო მოსმენებზე. მისივე თქმით, მხოლოდ ერთი საკითხია პირველი მოსმენით მიღებული, თუმცა არც ის არის მეორე მოსმენით განხილული საკომიტეტო სხდომაზე. მეტიც, მიქანაძემ აღნიშნა, რომ ის საკითხი საერთოდ არ შედის ევროკომისიის 12 რეკომენდაციაში.

- ჩვენი ფრაქცია მიმდინარე წელს საერთოდ არ გეგმავს საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას, რასთან დაკავშირებითაც ჩვენი პოზიცია გაცხადებული და ცნობილია. ჩვენ უკვე აქტიურად დავიწყეთ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მიერ გახმოვანებული გეგმის მიხედვით მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკითხის განხილვამ 2023 წლისათვის გადაიწია, ამ გეგმაში ცვლილებები არ შევა და როგორც სამუშაო ჯგუფებში, სადაც ჩვენი გუნდის წევრების გარდა, ოპოზიციის ნაწილიც იღებს მონაწილეობას, ასევე, საკომიტეტო მოსმენების ფორმატში, მოხდება შესაბამისი კანონპროექტების დამუშავება, დაინიცირება და საკომიტეტო განხილვები, რის შემდეგაც მათ განიხილავს საქართველოს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე. აღნიშნული პროცესი, ჩვენ მიერ გაცხადებული ვადების შესაბამისად, 2022 წლის დეკემბრამდე ბოლომდე იქნება მიყვანილი, მათ შორის, რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში შეტანილი სხვა საკითხებიდან, რომელიც შეეხება სასამართლოს და ანტიკორუფციულ სამსახურს, ორივე მათგანთან დაკავშირებით არსებული სამუშაო ჯგუფების ფარგლებში და დადგენილ ვადებში მოხდება კანონპროექტების მომზადება, დაინიცირება და მიღება. ამასთანავე, მოვუწოდებთ რადიკალური ოპოზიციის თითოეულ წარმომადგენელს, პარალელური პროცესების გამოგონებით ნუ გაამართლებენ და ნუ გამოეთიშებიან კომისიის რეკომენდაციების შესრულების პროცესს. მიიღონ მონაწილეობა მიმდინარე საპარლამენტო სამუშაო ჯგუფების და საკომიტეტო საქმიანობაში, რაც, სხვათა შორის, მათი კონსტიტუციური ვალდებულებაცაა, - განაცხადა ბრიფინგზე გივი მიქანაძემ.

შეგახსენებთ, რიგგარეშე სესიის მოწვევის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტს საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა 13 ივლისს მიმართა და შესაბამისი ერთობლივი განცხადება გაავრცელა. განცხადების ხელმომწერები მიიჩნევენ, რომ რიგგარეშე სესია წარმოადგენს დეპოლარიზაციისკენ გადადგმულ რეალურ ნაბიჯს. სალომე ზურაბიშვილმა 15 ივლისს გამოსცა განკარგულება, საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის რიგგარეშე სესიის 18 ივლისიდან მოწვევის თაობაზე.

**ია შველიძე**

## უცხოეთი

ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი ბაქოში ჩავიდა აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ევროკავშირში ბუნებრივი გაზის იმპორტის მოცულობის გაზრდის შესახებ მოლაპარაკებების მიზნით. „მხარეები მიისწრაფიან, მხარი დაუჭირონ ბუნებრივი გაზის ორმხრივ ვაჭრობას, მათ შორის ევროკავშირში ექსპორტის გზით, სამხრეთ გაზის დერეფნის გავლით, 2027 წლისთვის, ყოველწლიურად მინიმუმ 20 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოცულობით“, - ნათქვამია დოკუმენტში. შეთანხმება დაეხმარება ევროკავშირს რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებაში და მოაგვარებს გაზის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემას.

* * *

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი 18-19 ივლისს ირანში თურქეთისა და ირანის მაღალი დონის თანამშრომლობის საბჭოს სხდომას და სირიასთან დაკავშირებულ სამიტს ესწრება. სამიტზე სირიაში მიმდინარე პროცესები, ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლა, ჰუმანიტარული ვითარება და სირიელების ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხები განიხილება. ვიზიტის ფარგლებში რეჯეფ თაიფ ერდოღანი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდება.

* * *

უკრაინაში რუსული სპეცოპერაციის მიზნები მიღწეული იქნება, - განაცხადა რუსეთის უშშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა. მისი თქმით, ეს მიზნები დაკავშირებულია საფრთხის აღმოფხვრასთან და უკრაინის ხელმძღვანელობის დენაციფიკაციასა და დემილიტარიზაციასთან, იმ საფრთხის მოცილებასთან, რომელიც უშუალოდ არსებობს რუსეთისთვის. მედვედევმა ომის ვადებთან დაკავშირებით საუბრისას განაცხადა, რომ ასეთი ქმედებები არ ატარებს მომენტალურ ხასიათს. „ამ დროისთვის ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა უკვე გათავისუფლებულია ნაცისტებისგან, პროფაშისტური ძალებისგან, რომლებმაც გარკვეული დროით იქ ხელისუფლება დაიკავეს. სხვა ნაწილში სპეცოპერაცია გრძელდება“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ უკრაინას ყირიმზე თავდასხმის შემთხვევაში, განკითხვის დღე ელოდება.

* * *

საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის სხვადასხვა ნაწილში ტყის ხანძრებს ებრძვიან. სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში 12000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა, სადაც ძლიერმა ქარმა ფიჭვის ტყეებში გაჩენილი ხანძრის ჩაქრობის მცდელობები ჩაშალა. ხანძარია ბორდოს სამხრეთითაც. ტემპერატურამ 45,7 გრადუსამდე მიაღწია ესპანეთის ზოგიერთ ნაწილში. ქვეყნის სამხრეთით, ხანძრის გამო, 3000-ზე მეტი ადამიანია ევაკუირებული. ასობით ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო პორტუგალიაშიც, სადაც 7-დან 13 ივლისამდე პერიოდში სიცხემ 238 ადამიანი იმსხვერპლა. სინოპტიკოსების პროგნოზით, რეკორდულად მაღალი ტემპერატურა მიმდინარე კვირაშიც გაგრძელდება.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# „რუსეთი მუდამ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს განვითარებას და დასავლურ ინტეგრაციას“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*რუსეთისათვის დაწესებული სანქციების ერთ-ერთი მიზანი ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაა. 2014 წლიდან ამ მიმართებით დასავლეთმა ქმედითი ნაბიჯები გადადგა. დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთი მნიშვნელოვნად დააზარალა. გარდა ამისა, საგარეო დეფოლტიც განიცადა, რუსული ბაზარი მეგაკომპანიებმა დატოვეს. ეს მხოლოდ დასაწყისია, როგორც ამბობენ, დასავლეთს მოსკოვზე ზემოქმედების თვალსაზრისით მრავალი ბერკეტი გააჩნია. ამასთან დაკავშირებით ჩნდება უმთავრესი კითხვა: დასავლეთი რუსულ გაზსა და ნავთობზე საბოლოოდ როდის იტყვის უარს? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ლელო - საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს, ბსუ-ის ეკონომიკის მაგისტრანტ **არჩილ ბერიძეს** ვესაუბრეთ.*

**- უდავოა, რომ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთი მნიშვნელოვანად დააზარალა, კერძოდ, რამდენიმე დღის წინ რუსეთმა დეფოლტი განიცადა საგარეო ვალზე. ეს რას ნიშნავს ეკონომიკური თვალსაზრისით?**

- სანქციებს, გრძელვადიან პერსპექტივაში, უფრო ნეგატიური შედეგი ექნება მისთვის, თუმცა ამ დროისთვის რუსეთს არ შეუძლია ვალის აღება ან უკვე არსებული ვალის გადახდა დოლარში, რის გამოც მან ტექნიკური დეფოლტი განიცადა. რუსეთის მთავრობა ამბობს, რომ მათ აქვთ საკმარისი რაოდენობის თანხა, თუმცა სანქციების გამო გადარიცხვა დროულად ვერ შესრულდა. ერთი შეხედვით, რუსეთის პოზიცია სწორია, თუმცა საერთაშორისო ბაზარზე ინვესტორები თავს შეიკავებენ მასთან თანამშრომლობისგან, ასევე სხვა ქვეყნებიც აღარ მისცემენ ახალ ვალს. დეფოლტის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი მინიმუმამდე ეცემა, ის საინვესტიციო მიმზიდველობას სრულად კარგავს და კაპიტალი, შემოდინების ნაცვლად, გადინებას იწყებს. ეს ქვეყნისთვის საერთაშორისო ბაზრებიდან ეკონომიკურად, ფინანსურად და პოლიტიკურად გარიყვას ნიშნავს, რაც შეამცირებს ინვესტიციებს და მათ არა მხოლოდ ეკონომიკური კუთხით, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც კრიზისი შეექმნებათ.

**- თქვენი აზრით, რუსული ეკონომიკის რღვევა დაწყებულია? ამ მხრივ რა რესურსი აქვს საგარეო ეკონომიკური წნეხის გასამკლავებლად?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სანქციები უფრო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში იქნება ეფექტური, თუმცა მოკლევადიან პერიოდში გარკვეული ზიანი უკვე მიადგა მათ ეკონომიკას. ევროპულმა კომპანიებმა დატოვეს რუსული ბაზარი. გარდა ამისა, რუსეთის გასაღების ბაზარი შემცირდა, რაც მათ მოგებას მეტწილად შეამცირებს. ოქროზე ემბარგოს დაწესების პირველადი ეფექტი რუსეთისთვის დაკარგული მილიარდების ტოლფასი იქნება. დასავლეთმა რუსეთს უკვე გაუყინა ოქროს მარაგი, რის გამოც ისინი ვალს ვეღარ ფარავენ, ეს კი, საერთაშორისო ბაზარზე მის მიმართ ნდობას კიდევ უფრო ამცირებს. თამამად შეგვიძალია ვთქვათ, რომ რუსული ეკონომიკის რღვევა დაწყებულია, თუმცა მისი დამარცხებისთვის მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა შეიზღუდოს სამხედრო ტექნიკის დასამზადებლად აუცილებელი ტექნოლოგიების რუსეთში ექსპორტი, რათა ვეღარ შეძლოს სამხედრო ტექნიკის წარმოება.

**- როგორც ცნობილია, რუსეთის უმთავრესი იარაღი (გავლენის სფეროების მოპოვების თვალსაზრისით) გაზი და ნავთობია, ამ მიმართებით აშშ-მა გარკვეული ნაბიჯები გადადგა. როგორც გაცხადდა, ისტორიაში პირველად, ამერიკული გაზის იმპორტმა გადააჭარბა რუსულისას ევროპაში. რას ფიქრობთ ამაზე?**

- ჩემი აზრით, ეს პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება - ფაქტი ადასტურებს, რომ ძალიან მალე არის შესაძლებელი რუსული გაზისა და ნავთობის ჩანაცვლება. ეს დაკავშირებული იქნება გარკვეულ ხარჯებთან, თუმცა რუსეთის დასუსტების ხარჯზე სიტუაცია დასტაბილურდება. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ევროპის უსაფრთხოება და პოლიტიკური სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანია, გრძელვადიან პერიოდში კი, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების გათვალისწინებთ, რუსული გაზის ჩანაცვლების მთავარ რეალისტურ გზად ისევ ალტერნატიული წყაროებიდან ბუნებრივი აირის მილსადენებით მიწოდება რჩება. ევროკომისიის განცხადებით, რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება ეტაპობრივად შემცირდება, 2030 წლისთვის კი ევროკავშირი რუსეთისგან სრულ ენერგოდამოუკიდებლობას მოიპოვებს.

> *თუ რუსეთს ექნება საკუთარი გაზითა და ნავთობით მანიპულირების შესაძლებლობა, ის ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს, ამიტომაცაა აუცილებელი, დასავლეთმა სრულად თქვას უარი მასზე*

**- ამერიკამ და ევროპამ ემბარგო დააწესეს რუსული ოქროს იმპორტზე, რაც წელიწადში 19 მილიარდი დოლარის ზარალია რუსეთისთვის. როგორც ჩანს, ეს სანქციების ერთ-ერთი ეტაპია.**

- დიახ, ეს სანქციების პირველი ეტაპია, თუმცა საკმარისი არ არის, რადგან რუსეთი ოქროს ექსპორტს აზიის ბაზარზე განახორციელებს. რა თქმა უნდა, ეს ვერ იქნება იმდენად მომგებიანი, როგორც ევროპულ ბაზარზე ექსპორტის შემთხვევაში, თუმცა აუცილებელია სანქციების გაგრძელება და კიდევ უფრო გამკაცრება, რათა რუსეთმა უფრო დიდი ზარალი მიიღოს და ვერ მოახერხოს არსებული მარაგების გასაღება.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ ვიდრე დასავლეთი სრულად არ იტყვის რუსულ გაზსა და ნავთობზე უარს, რუსეთს ყოველთვის შეეძლება აგრესიის განხორციელება.**

- მათ მოსაზრებას ვიზიარებ. თუ რუსეთს ექნება საკუთარი გაზითა და ნავთობით მანიპულირების შესაძლებლობა, ის ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს, ამიტომაცაა აუცილებელი, დასავლეთმა სრულად თქვას უარი მასზე. რა თქმა უნდა, ეს დააზარალებს ევროპასაც, ამიტომ სწრაფად უნდა დაიწყოს საუბარი ალტერნატიული მომარაგების წყაროებზე. პირველ ეტაპზე ევროპამ უნდა შეამციროს გაზისა და ნავთობის მოხმარება და მოემზადოს ზამთრისთვის, მეორე ეტაპზე კი დაიწყოს ალტერნატიული წყაროებიდან მომარაგება. ეს რუსეთის ეკონომიკას ჩამოშლის და მას აღარ ექნება სამხედრო აგრესიის ძალა.

**- რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ ომის გაჩაღების ერთ-ერთი მიზანი ნატოს არგაფართოება იყო მის საზღვრებთან. ფინეთისა და შვედეთის ნატოში მიღებით რა სურათს მივიღებთ?**

- ერთი მხრივ, უკრაინაში შეჭრის მიზანი ნატოს არგაფართოება და ევროპული ერთიანობის რღვევა იყო, მაგრამ ამ პროცესმა ევროპა უფრო გააერთიანა და ნატო უფრო გააძლიერა, რადგან მან თანხმობა გამოუცხადა ფინეთსა და შვედეთს. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთს არ ეშინია რუსეთის მუქარის, მეტიც, მას სურს, ღია კარის პოლიტიკა კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გაატაროს და რუსულ აგრესიას შეუშალოს ხელი. დროთა განმავლობაში კი მითი რუსეთის უძლეველობის შესახებ დაიმსხვრევა, რასაც რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების გაქრობა მოჰყვება.

**- როგორც ცნობილია, რუსეთი არა მხოლოდ ნატოს, ევროკავშირის გაფართოებასაც ეწინააღმდეგება. რას მოიმოქმედებს კრემლი ჩვენი დასავლური კურსიდან გადახვევისთვის?**

- რუსეთი მუდამ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს განვითარებასა და დასავლურ ინტეგრაციას. საქართველოში პრორუსული პარტიებისა თუ ჯგუფების დაფინანსებით ის მუდმივად ცდილობს, დანერგოს ნიჰილიზმი და ანტიდასავლური პროპაგანდა მოგვახვიოს თავს. რუსეთ-უკრაინის ომი ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ჩვენთვისაც, ვინაიდან მისი შედეგი ჩვენს სამომავლო განვითარებაზე ძალიან იმოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს ანტირუსული პროპაგანდის შესაჩერებლად და, მეტიც, ანტიდასავლურ ნარატივებს ავრცელებს, მე, პირადად, პოზიტიური მოლოდინი მაქვს, რადგან ქართული სამოქალაქო საზოგადოება ძალიან განვითარდა და მას შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს რუსულ ნარატივს და ევროპული კურსისგან გადახვევის გამო „სახლში“ გაუშვას „ქართული ოცნება“. რუსეთის ეკონომიკა დღითი დღე უარესდება, უკრაინა უკვე კონტრშეტევებზეა გადასული, რაც რუსეთის მდგომარეობას უფრო ამძიმებს, ამიტომაც ვფიქრობ, რომ თუ საქართველოში შესუსტდება ოლიგარქიული მმართველობა და ევროკავშირის რეკომენდაციებს შევასრულებთ, კრემლის პროპაგანდა ჩვენს დასავლურ კურსს ვერაფერს დააკლებს. ამ ქვეყანაში და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში, რუსულ ნარატივს არ აქვს მომავალი.

**- ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, რა პერსპექტივა დაისახება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ?**

- კანდიდატის სტატუსის მიღება ნიშნავს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივის გაჩენას - ადამიანის უფლებების დაცვას, ეკონომიკურ განვითარებას, უსაფრთხოებას, უკეთეს განათლებასა და ჯანდაცვას, მშრომელთათვის ღირსეული სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების შეთავაზებას. ევროკავშირი კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებზე გასცემს გრანტებსა და ფინანსური სახის დახმარებებს, ასევე, ეხმარება განვითარების სწორი სტრატეგიის შემუშავებაში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აუცილებელია გაცემული რეკომენდაციების შესრულება, სტატუსის მიღების შემდეგ კი ჩვენი ქვეყანა დადგება განვითარების რელსებზე, ქვეყანაში შემოვა უცხოური ინვესტიციები, რასაც თან მოჰყვება დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა, ტექნოლოგიური პროგრესი, განვითარდება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი, ქართული კომპანიები მოახერხებენ განვითარებას და ექსპორტის ევროკავშირის ბაზარზე განხორციელებას. რაც მთავარია, მოხდება ბაზრის დივერსიფიკაცია, შემცირდება რუსეთთან ვაჭრობა (როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი), რაც შეამცირებს პოლიტიკურ რისკებს. ევროკავშირისგან მიღებული ფინანსური დახმარებებით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სოციალური პროგრამის განხორციელება, რითაც შემცირდება უმუშევრობა და სიღარიბე, გაიზრდება განათლების და ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება, რაც გრძელვადიან პერიოდში ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნის საშუალებას მოგვცემს.

**- დაბოლოს, უკრაინის გამარჯვების შემთხვევაში დაიწყება თუ არა ახალი ერა მსოფლიოში და ამ მიმართებით როგორია საქართველოს მომავალი?**

- მსოფლიოში ახალი ერა უკვე დაწყებულია, უკრაინა სიმამაცის სიმბოლო გახდა. რუსული აგრესიის ფონზე, დასავლეთი კიდევ უფრო გაძლიერდა და გაერთიანდა. ძალიან მალე, ნატოს ოფიციალური საზღვრები კიდევ უფრო გაიზრდება, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირის წევრი ქვეყნები გახდებიან, რაც მსოფლიოში ახალი დღის წესრიგს განსაზღვრავს. რუსეთის ეკონომიკისა და სამხედრო შესაძლებლობების რღვევის ფონზე, ბუფერულ ზონაში არსებული ქვეყნები შეეცდებიან განვითარების გზაზე დადგომას. ამ პროცესებში საქართველოს მომავალი, ამ ეტაპზე, ბუნდოვანია. ბოლო პერიოდში მთავრობის წარმომადგენლების განცხადებები ჩვენს ევროპულ პერსპექტივას ძალიან აზიანებს. მგონია, რომ საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არ სურს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება. ხელისუფლება, იმის ნაცვლად, რომ რუსეთის ბაზრიდან გასულ კომპანიებს ჩვენი ბაზარი შესთავაზოს, შეთქმულების თეორიებს განიხილავს. თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა განვითარდეს და უსაფრთხოება გაიზარდოს, პირველ რიგში, ევროკავშირის მიერ გაცემული 12-პუნქტიანი რეკომენდაცია უნდა შევასრულოთ (პოლარიზაციის შემცირება და დეოლიგარქიზაცია განსაკუთრებით), რათა შევძლოთ ევროკავშირში გაწევრიანება და შემდგომ, ეკონომიკური განვითარება, რაც სოციალური პრობლემების დაძლევის გარანტია.

# აშშ-ის მხარდაჭერა - საქართველოს აგრარულ დარგს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, აშშ-ში ვიზიტი შეაჯამა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, აშშ საქართველოში ხორბლის წარმოებისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის გაუმჯობესებას მხარს უჭერს.

„პირველ რიგში, საზოგადოებას მინდა მივაწოდო ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატებში ვიზიტთან დაკავშირებით. ჩვენ გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები სახელმწიფო დეპარტამენტში, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში, USAID -ში. ყველა ამ შეხვედრაზე განვიხილეთ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის არის საჭირო და ის ღონისძიებები, რომლებსაც ვახორციელებთ, - განაცხადა ოთარ შამუგიამ, - ყურადღება გამახვილდა სასურსათო უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე. ჩვენს პარტნიორებს მივაწოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამის შესახებ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ ქვეყანაში გავზარდოთ მარცვლეულის, კერძოდ, ხორბლის წარმოება და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ. ამ მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა არის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი. სწორედ ამ საკითხებზე ვისაუბრეთ და, მინდა ვთქვა, გვაქვს მოლოდინი, რომ გვექნება ამ კუთხით მხარდაჭერა. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე დაფიქსირდა, რომ დეპარტამენტი მზად არის, დაიწყოს ხორბლის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვის ღრმა კვლევა, შესწავლა, რაც მოგვცემს ინფორმაციას, თუ რა საჭიროებები არსებობს კონკრეტულად ამ მიმართულებით და დავგეგმოთ შესაბამისი ღონისძიებები. სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული შეხვედრის შემდეგ, მეორე დღესვე, სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით, გვქონდა შეხვედრა აშშ-ის სიმინდის და ხორბლის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელობასთან, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს და არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული სხვადასხვა ქვეყანაში. აქტიური თანამშრომლობა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან დარგის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

* * *

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიას განცხადებით, ხორბლის იმპორტის განხორციელებისთვის ფასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მისი თქმით, სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია, რომ ისეთი შეთანხმება შედგეს, რაც პურის ფასს არ გაზრდის. „ხორბლის საკითხთან დაკავშირებით წისქვილკომბინატებთან, ასოციაციასთან მუდმივ კომუნიკაციაში ვართ. ამ საკითხებზე საკმაოდ დიდი ხანია ვმუშაობთ. რა თქმა უნდა, პარალელურად იმ პროცესებს ვაკვირდებით, რომლებიც ბაზარზე მიმდინარეობს. ბოლო პერიოდში არის ხორბლის ფასის შემცირების კუთხით გარკვეული ცვლილება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ახლა მოსავლის აღების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რაც წისქვილკომბინატების ამუშავებას ხელს შეუწყობს. ჩვენ ამ პროცესებს ვაკვირდებით. ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, შეთანხმება მიღწეული არ არის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენი მოსახლეობისთვის მტკივნეული არ იქნება და პურის ფასს არ გაზრდის“, - განაცხადა მინისტრმა.

**ამირან გურიელიძე**

# „მეწარმეობისა და პოლიტიკის დიალოგის ხელშეწყობა აჭარაში მცხოვრები ქალებისთვის“ – „საორსას“ ახალი პროექტი

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***პროექტის, რომელიც აჭარის მუნიციპალიტეტში ხორციელდება, ფინანსური მხარდამჭერია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში***

იგი ითვალისწინებს ადგილობრივ თემებში ქალთა საზოგადოებრივი ცენტრების შექმნას, ეკონომიკური გაძლიერების ფორუმის ორგანიზებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობის შესახებ და ქალთა საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერების მიერ ადვოკატირებისა და ლობირების ხელშეწყობას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში.

„მეწარმეობისა და ლიდერობის სკოლის“ ფარგლებში ჩატარდა - ტრენინგ-სესიები, მეწარმეობის კვირეული, საველე ვიზიტები აჭარის რეგიონში დაფუძნებულ სხვადასხვა საწარმოში, კვლევა ადგილობრივ თემებში.

„მეწარმეობისა და ლიდერობის სკოლის“ დასასრულს შეირჩა თითოეულ მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერი და საზოგადოებრივი განვითარების ოფიცერი. საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერის პოზიცია საქართველოში ახალი პროფესიული მიმართულებაა, და მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის: ქალთა საზოგადოებრივი ცენტრის სამოქმედო გეგმის შემუშავება; კვლევების წარმოება და ანალიზი; სოციალური და ბიზნესმომსახურების გაწევა ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის; ადგილობრივ თვითმმართველობასთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური კომუნიკაციის წარმოება; საინფორმაციო კამპანიების წარმოება; ადვოკატირების პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ქალთა საზოგადოებრივი ცენტრების შექმნა პროექტის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მიზანია. სწორედ, აღნიშნულ ცენტრებში ხელმისაწვდომი გახდება სოციალურ-საგანმანათლებლო სერვისები და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურება.

- საქართველოს მასშტაბით შევქმენით ახალი პროფესიული მიმართულება - საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერი და ოფიცერი. მენეჯერები და ასისტენტები ადგილზე გაუწევენ კონსულტირებას საჭირო საკითხებზე ადამიანებს, რომლებსაც ეს სჭირდება. ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი წინაპირობაა პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის. მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომი იყოს ხარისხიანი ინფორმაცია, თუ კონსულტაცია, რათა შემდგომში, დაინტერესებულმა პირებმა სისრულეში მოიყვანონ თავიანთი მიზნები. ასეთი ადამიანი ყოველთვის ბედნიერია, ბედნიერი ადამიანი კი ღრმად მჯერა, რომ ქმნის ბედნიერ გარემოს, როგორც თავის ოჯახში, ასევე თავის საზოგადოებაში, თავის პროფესიულ სამყაროში, - გვითხრა „საორსას“ დამფუძნებელმა **ლია ფუტკარაძემ**.

**ნატა მიქელაძე**, საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი:

- პროექტის - „მეწარმეობისა და პოლიტიკის დიალოგის ხელშეწყობა აჭარაში მცხოვრები ქალებისთვის“ განხორციელება, რეგიონში ქალთა ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან იგი დასაქმების, შემოსავლების ზრდის და საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველია. არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის ხანგრძლივმა გამოცდილებამ დამანახა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები - სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, ძალადობა ოჯახში თუ სხვა უამრავი პრობლემა. საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერის პოზიციაზე მუშაობა შესაძლებლობას მომცემს, მოვახდინო მოსახლეობაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება, ჩემი წვლილი შევიტანო თემში მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რაც შესაძლებელი იქნება ადგილობრივ მერიასთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მსხვილ მეწარმეებთან კოორდინირებული მუშაობით. ქობულეთი აჭარის რეგიონში ყველაზე მრავალრიცხოვანი მუნიციპალიტეტია. წლების განმავლობაში ოთხი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ათზე მეტი პროექტის განხორციელებაში ვმონაწილეობდი. აქედან გამომდინარე, კარგად ვიცნობ მუნიციპალიტეტის საჭიროებებს. ვფიქრობ, ჩემი როლი ამ პროექტში უმნიშვნელოვანესია, კარგად მაქვს გააზრებული ის პასუხისმგებლობა, რაც „საორსამ“ დამაკისრა.

**თინათინ გოგაძე**, საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი.

- ყველა ის პროექტი, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. მსგავსი პროექტები ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათ გაძლიერებას, მხარდაჭერას, პრობლემების იდენტიფიცირებას და ეფექტური სტრატეგიებისა თუ მეთოდების შემუშავებას. ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, სწორად დაინახონ პრობლემა, ზუსტად მოახდინონ მისი ფორმულირება და მის გადასაწყვეტად დაისახონ ის ამოცანები, რომელიც ყველასთვის მისაღებია. პროექტი მომცემს კიდევ უფრო მეტ ძალას და მოტივაციას, რომ ვიზრუნო ხალხის სატკივარზე. გამოვუცხადო მათ მხარდაჭერა, მივცე ძალა და მოტივაცია, აკეთონ ის, რაც მათ სურთ, რათა იყვნენ ბედნიერები, არ დანებდნენ იმ სირთულეებისა და გამოწვევების მიუხედავად, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან.

ეს პროექტი ჩემს მუნიციპალიტეტში მცხოვრებლებისთვის არის „მზის სხივი“, რომელიც მათ ცხოვრებაში სიხალისესა და სითბოს შეიტანს. მათთვის იმის გაცნობიერება, თუ რა როლი უკავიათ საზოგადოების შენებაში, მნიშვნელოვან კომპონენტად მიმაჩნია. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობის შესახებ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება თანასწორუფლებიანობის საკითხში. სამწუხაროდ, ბევრი სოფლად მცხოვრები ქალი ვერ ახდენს თვითრეალიზებას არახელსაყრელი გარემოს გამო, არ ეძლევა შესაძლებლობა, წარმოიწყოს საკუთარი საქმე, მცირე ბიზნესი, იქცნენ მეწარმე ქალებად, რაც პირდაპირ კავშირშია მათ დამოუკიდებლობასთან. დამოუკიდებელი და ძლიერი ქალი ძლიერი ოჯახის, ძლიერი შვილების და ძლიერი ქვეყნის ტოლფასია. სწორედ ეს პროექტი მისცემს მათ შესაძლებლობას, დაიმკვიდრონ თავი საზოგადოებაში და გამოავლინონ საკუთარი უნარები. ამისთვის მათ მიეცემათ მიმართულება და შესაბამისი სერვისი, რომ წამოიწყონ საკუთარი საქმე.

ქალთა საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომი გახდება სოციალურ-საგანმანათლებლო სერვისები და ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურება. აღნიშნული ცენტრები მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივ დონეზე, შექმნის და ხელმისაწვდომს გახდის ახალ შესაძლებლობებს ქალებისთვის. ჩვენ უკვე ჩავატარეთ მუნიციპალიტეტში კვლევა, რომლის შედეგადაც მოხდა იმ პრობლემის იდენტიფიცირება, რაც მოსახლეობას აწუხებს. ახლა ვმუშაობთ საბიუჯეტო პროგრამაზე და ამ ცვლილებების გზაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

**მარიამ ბარამიძე**, საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერი, ქედის მუნიციპალიტეტი:

- მსგავსი პროექტები ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის, რადგან მისი საშუალებით ხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მოსახლეობა ეცნობია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გზებს, ზოგადად, როგორ უნდა განვითარდეს ადამიანი, რომ მიაღწიოს წარმატებას, შექმნას რაიმე ღირებული რეგიონისთვის. მსგავსი ინფორმაციის მიღება ბევრ პრობლემასთან ასოცირდება, აქ კი თავისუფლად შეუძლიათ ყველაფერი ისწავლონ და გამოიყენონ პრაქტიკაში. რაც შეეხება ჩემს როლს, ვფიქრობ, მეტად საპასუხისმგებლოა, ბევრი რამ მევალება, თუმცა ვთვლი, რომ დაკისრებულ საქმეს შევასრულებ და ჩემს რეგიონს ხელს შევუწყობ წინსვლაში.

**გულნაზ ამაღლოგელი**, საზოგადოებრივი განვითარების ოფიცერი, შუახევის მუნიციპალიტეტი:

- აღნიშნული პროექტი ეხმარება სოფლად მცხოვრებ ადამიანებს, აიმაღლონ ცნობიერება, მიეცეთ მუშაობის მოტივაცია და გაიღრმაონ ცოდნა. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ადგილზე, სოფელშივე იქნება ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი. ჩემი მოვალეობა და პასუხისმგებლობაა, გავუზიაროო ცოდნა თანასოფლელებს.

**მაია სურმანიძე**, საზოგადოებრივი განვითარების მენეჯერი, ხულოს მუნიციპალიტეტი:

- მსგავსი პროექტები რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სწორი ხედვა და მიმართულება ჩამოუყალიბდეს საზოგადოებას, ადამიანებმა აიმაღლონ ცნობიერებ-

ბა მნიშვნელოვან თემებზე, რაც მათთვის ძალიან საჭირო და აუცილებელია. მონაწილეები ტრენინგებიდან შეძენილ ინფორმაციას გამოიყენებენ სასიკეთოდ და შეძლებენ შექმნან რამე ღირებული რეგიონისთვის. ჩემი როლი ამ საქმიანობაში, მეტად საპასუხისმგებლოა, შევეცდები ხელი შევუწყო სათემო პრობლემების გადაწყვეტას.

# პროექტის მორიგი ეტაპი დასრულდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***შუახევის მუნიციპალიტეტში „მმართველობითი სისტემის განვითარების ცენტრი“ ახორციელებს პროექტს „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი - ძლიერი საქართველოსთვის“. შუახევში იმყოფებოდნენ პროექტის მენეჯერები კოკა კიღურაძე და კოტე კანდელაკი. მათ შუახევის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძესთან, საკრებულოს წევრებთან ვახტანგ ფუტკარაძესთან, თენგიზ ივანაძესთან ერთად, პირველი შეხვედრა გამართეს სოფელ ცინარეთის მოსახლეობასთან***

მოსახლეობის წარმომადგენლებმა თემურ აბუსელიძემ, უშანგი ბაიაძემ, შალვა ცინარიძემ, ზებურ კეჟერაძემ მაჟორიტარ დეპუტატ როსტომ ლორთქიფანიძეს გზებისა და სარწყავი არხის მოსაწესრიგებლად დახმარება სთხოვეს.

შეხვედრა გაიმართა ასევე, დაბა შუახევის მრავალბინიანი სახლის მობინადრეებთან. აქ პროექტის მენეჯერებთან ერთად იყვნენ დაბის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა დავითაძე და საკრებულოს სხვა წევრები. მაყვალა მორჩილაძემ, ვალენტინა ჯიჯავაძემ, ხვიჩა ცეცხლაძემ საცხოვრებელ სახლზე სახურავის შეცვლა ითხოვეს.

საქმიანი იყო დაბა შუახევის ახალგაზრდობასთან და ომის და შრომის ვეტერანებთან შეხვედრა.

საკრებულოს წევრები ფატი ჭაღალიძე, როსტომ ლორთქიფანიძე, თენგიზ ივანაძე, მალხაზ ტაკიძე პროექტის მენეჯერებთან ერთად, ჭვანის თემის მოსახლეობასაც შეხვდნენ.

- პროექტის მიზანია სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, ამომრჩეველსა და მის არჩეულ საკრებულოს წევრს შორის ეფექტური კომუნიკაციის დანერგვა. პროექტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის მხარდაჭერით ხორციელდება, - გვითხრა კოკა კიღურაძემ.

# 40 წლის გადასახედიდან

***ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი «ბერმუხა» 40 წლისაა. ქვეყნის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უხუცესები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. ჩვენი სტუმარია ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი, ქორეოგრაფი რევაზ აბულაძე***

- 2022 წლის ივლისი 40 წლის ანსამბლის ისტორიაში გამორჩეულ თარიღად ჩაიწერა. ანსამბლის უხუცესი წევრი 99 წლის მუხამედ ართმელაძე, 89 წლის ეუბ მგელაძე, 88 წლის ოთარ ირემაძე, 84 წლის იოსებ მგელაძე, 83 წლის ოთარ კახაძე, 79-79 წლის ვაჟა ფასანიძე და შოთა შავაძე, 75 წლის იაკობ ადაძე, 70 წელს მიტანებული ჟენია სურმანიძე და თემურ აბულაძე, თქვენი მონა-მორჩილი რევაზ აბულაძე, აკომპანიატორები მერაბ ქედელიძე, ზაურ ბოლქვაძე, გია მელაძე, მეჭიბონე გურამ თავართქილაძე, მთავარი ქორეოგრაფი გურამ ბოლქვაძე, აწ გარდაცვლილები რევაზ ვანაძე და შოთა სოლომონიძე იმათ რიგებში ვართ, რომლებსაც ამაგი დაგვიფასეს. ქალბატონი სალომე აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან თორნიკე რიჟვაძესთან ერთად გვეწვია ხულოში. მათ ორდენები საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს. თითოეულ ჩვენგანს ამაღლებული განწყობა დაგვეუფლა. მუხამედი და ოთარი იმათ რიგებში არიან, ვინც პირველად მოირგო «ბერმუხას» საცეკვაო ფორმა. წლებს თავისი გააქვს, მაგრამ ისინი ასაკს მაინც არ ეპუებიან. იმ დღესაც მუხამედმა თავისებურად ჩაახვია «განდაგანა», მე თავად 76 წელი მოვიტოვე უკან, 5 შვილის მამა (ერთი ქალიშვილი გარდაცვლილი მყავს), 9 შვილიშვილის, 6 შვილთაშვილის ბაბუა ვარ. «ბერმუხაში» მე და ჟენია სურმანიძე «განდაგანაში» დუეტს ისეთივე შემართებით ვასრულებთ, როგორც წლების წინ.

**- რა გზა გამოიარეთ დღემდე?**

- «ბერმუხის» ისტორია 40 წლის წინ დაიწყო. საზოგადოებას კარგად ახსოვს ხიხაძირელი თოფუზ გაბაიძე და მისი უბადლო «განდაგანა». თოფუზის სახელოვანი გზა ენვერ ხალვაშმა გააგრძელა. ხულოს რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელებს, კულტურის სისტემაში დასაქმებულებს თამაზ ტუნაძეს, ბესარიონ შაინიძეს, ეთერ დეკანაძეს, ეთერ აბულაძეს, გალინა რიჟვაძეს, ბადრი ღორჯომელაძეს, ნოდარ საგინაძეს, შოთა ბერიძეს, ავთანდილ ბოლქვაძეს, ლოტბარ დავით აბულაძეს გაუჩნდათ იდეა, რომ 80-წევრიანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ჩამოეყალიბებინათ. ეს იყო 1981 წელს. გავიდა ერთი წელი და მოცეკვავეები ენვერ, ლევან, ზურაბ, იაშა ხალვაშები, ასლან, ხუსეინ, გივი, იუნუს გაბაიძეები, რიზალ ჩოყილაძე, ეზიზ, მუხამედ, ოთარ ირემაძეები, იუსუფ, ვაჟა მგელაძეები, ბაირამ ჯაყელიძე, ახმედ შავაძე, ალიოსმან წულუკიძე, რევაზ ვანაძე, ქალბატონი ფატი აჟიბა, ნაზი ქარცივაძე და მეჭიბონე ისა ბერიძე პირველად დადგნენ ხულოს თეატრის სცენაზე. მაყურებელი მათ დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

**- ხულოს თეატრის სცენიდან სად გადაინაცვლეთ?**

- ყველას გვახსოვს, რომ ტრადიციული სახალხო დღესასწაული «შუამთობა» ერთ ხანს წარსულის მავნე გადმონაშთად მონათლეს. ყველა და მათ შორის «ბერმუხელებიც» ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ. 1989 წლის «შუამთობა» კურორტ ბეშუმის შემოგარენში რომ ჩატარდა, «ბერმუხას» გამოსვლა წარსულ დიდებასთან, ძირძველ ხელოვნებასთან წილნაყრობად შეაფასეს. მას შემდეგ ქართველი და უცხოელი მაყურებელი ახალ-ახალი შენაძენებით გაახარეს. მათ ტაშს უკრავენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ბულგარეთში, თურქეთში, პოლონეთში, რუმინეთში, უკრაინაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალებზე, საიდანაც გამარჯვებულების სამკერდე ნიშნებით ბრუნდებოდნენ. მათ გარეშე ხულოში არცერთი ღონისძიება არ იმართება. 12 წლის განმავლობაში ნინოწმინდელების, იქ არსებული სკოლა-პანსიონის ხშირი სტუმრები ვიყავით. მოვლილი გვაქვს ის რაიონები, სადაც ხულოდან გადასულები ცხოვრობენ. ჩვენს ხელოვნებას აფასებენ ქართული ეროვნული ქორეოგრაფიისა და ფოლკლორის ისეთი მოამაგენი, როგორებიც ანზორ ერქომაიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი, ჯემალ ჭკუასელი იყვნენ, როგორებიც გიორგი უშიკიშვილი, გიორგი დონაძე, უჩა დვალიშვილი და სხვა სახელოვანი ხელოვანები არიან. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ოზურგეთში გამართულ ანზორ ერქომაიშვილის საიუბილეო საღამოზე მიგვიწვიეს, სადაც მუხამედ ირემაძემ ყველა მოაჯადოვა.

**- ახლოვდება ტრადიციული სახალხო დღესასწაული «შუამთობა». რას შესთავაზებთ მოზეიმეებს?**

- თაობათა ცვლის პროცესი, პანდემიით გამოწვეული სირთულეები არც «ბერმუხელებისთვისაა» უცხო. ახალ შევსებას ველოდებით, რაც კურორტ ბეშუმის შემოგარენში გამართულ ზეიმზეც შეიძლება იხილოთ. ქორეოგრაფი გურამ ბოლქვაძე და მე სოფელ-სოფელ დავდივართ, ნიმუშებს ვაგროვებთ და ინდივიდუალური შემსრულებლების საშუალებით სცენაზე გამოგვაქვს. «ბერმუხელებმა» 12 წლის წინ სამხატვრო ხელმძღვანელად ამირჩიეს. 7 წელია კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობამ ამას შესაბამისი ბრძანებაც მოაყოლა. პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე ყოველთვის ჩვენ გვერდითაა. როცა გასტროლზე ან სხვა ღონისძიებაზე გვიწვევენ, დაფინანსების პრობლემა დგება. ამ ბარიერს მისი თანადგომითვ ძლევთ. იგი ასეთ დამოკიდებულებას ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ «არგინეთის» მიმართაც იჩენს.

**- პროფესიით ზოოტექნიკოსი ხართ. ხელოვნებას მეტი წლები შეალიეთ თუ არჩეულ პროფესიას?**

- მამა ყენდილი და ბიძა ოსმანი მთელ სოფელში განთქმული მოცეკვავეები იყვნენ. ქორწილი, სხვა ღონისძიება მათ გარეშე არ ჩაივლიდა. მათ მუხლთატეხას ბავშვობიდანვე ვაკვირდებოდი. ვაშლოვანში სხვა მოცეკვავეებიც იყვნენ. კულაშში (სამტრედიის რაიონი) ტექნიკუმში რომ ვსწავლობდი, ტექნიკუმის დირექტორმა პოლიკარპე მიქაძემ ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელობა მანდო. იმ დღიდან არჩეულ პროფესიას ზურგი შევაქციე. სოფელ ვაშლოვანის საშუალო სკოლაში წლების განმავლობაში ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი ვიყავი. ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე სოფელში ქორეოგრაფიული ხელოვნების შემსწავლელი ცენტრი ჩამოვაყალიბე და 100-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი «განდაგანის», «ხორუმის», «ფერხულის», «მთიულურის» ილეთებს ვაზიარე. ჩემი ხელდასმით, სკოლის ანსამბლმა მრავალგზის მოიპოვა წარმატება რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, ფესტივალებზე. ასაკმა თავი რომ შემახსენა, სცენიდან წასვლას ვაპირებდი, მაგრამ არ დამანებეს. მიხარია, რომ ჩემი «სენი» შეეყარა შთამომავლობას. შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ნათესავები ცეკვავენ, რაც ძალიან მახარებს და მხნეობას მმატებს.

**- თქვენ ცეკვა გიტაცებთ, მეუღლეს ესმა ართმელაძეს - ხატვა. ორი ხელოვანი ერთ ოჯახში, თანაც სხვადასხვა მიმართულებით, ერთმანეთს როგორ უგებთ?**

- ჩემი სიმამრი, ცნობილი მხატვარი სიმონ ართმელაძე ჩემი სოფლიდან იყო. საბაურის უბანში მისვლა და მისი ნახატების დათვალიერება ბავშვობიდანვე მიყვარდა. ვხატავდი კიდეც. ფუნჯთან ახლაც არ ვარ მწყარალად. ორი კურდღლის მდევარივით რომ არ გამომსვლოდა, ზოოვეტერინარობის მსგავსად, ხატვასაც თავი დავანებე და იქ დავდექი, სადაც ჩემი ნიჭი და უნარი გამოსადეგი იყო. ასე რომ, ორ ხელოვანს საერთოც ბევრი გვაქვს. ესმა მამის გზას აგრძელებს. იგი სახელოვნებო სკოლაs ხელმძღვანელობს. სულ მალე ხულოს ცენტრში სახელოვნებო სკოლა და სამხატვრო გალერეა ერთ შენობაში განთავსდება, რაც ახალი სახელების წარმოჩენის საწინდარი გახდება.

**- რა გსურთ?**

- მსურს, იმ ასაკს მივაღწიო, რომელიც მუხამედ ირემაძემ უკან ჩამოიტოვა და ისეთივე ვიყო სცენაზე, როგორიც ის ახლაა.

**- წიგნები გყვარებიათ...**

- «ბერმუხას» დაარსების დღეს ხულო მასპინძლობდა ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მწერლებს, ისეთ სახეებს, როგორებიც ლია ელიავა, თემურ, რეზო ჩხეიძეები, ანზორ ერქომაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, გურამ ფანჯიკიძე, გრიგოლ, ირაკლი აბაშიძეები,მორის ფოცხიშვილი, თამაზ წივწივაძე, ზურაბ გორგილაძე, ფრიდონ ხალვაში, ჯემალ ქათამაძე იყვნენ. ადამიანი ავტოგრაფით წიგნს რომ გჩუქნის, ის მაინც უნდა წაიკითხო. საუბედუროდ, ზოგიერთი ამასაც არ აკეთებს. მე ახალ წიგნს რომ შევიძენ, გულდასმით ვკითხულობ და თაროზე ადგილს შემდეგ მივუჩენ.

**- ქართული სუფრის ხელმძღვანელობა გყვარებიათ...**

- რა ქართველი ხარ, თუ სუფრამ ცეკვის, სიმღერის, ლექსის, ხუმრობის გარეშე ჩაიარა. 23 ივლისს «ბერმუხელები» საღამოს გადახდას ვაპირებთ. მოდით და ნახეთ, ვინ ვართ სცენის მიღმა, რა შეგვიძლია.

**- მეგობრების პატივსაცემად რას აკეთებთ?**

- ნაყოფის მომცემ ხეს ვრგავ, მათ ძვალშესანახთან მივდივარ, სუფრასთან შესანდობარს ვამბობ და რაც მთავარია, მათ შთამომავლობას ვეფერები.

**- მტკივნეული გზებიც გამოიარეთ.**

- თუ ხელოვანი ხარ, პირადი წუხილი სცენის მიღმა უნდა დატოვო. ხელოვნება მსხვერპლს ითხოვს. ის მარტო მიცვალებულის დატირება როდია. ხულოს რაიონის ყოფილი კომისარი, კოლორიტი ხულოელი ჩემი მძახალი იყო. მე შვილი და მან რძალი ერთად დავიტირეთ. მე სცენა ვერ მივატოვე, მანაც თავისი საქმე გააგრძელა, ორივე ერთმანეთს ვამაგრებდით.

**- სად არჩევთ ლოცვას - მეჩეთში თუ ეკლესიაში?**

- ორივე ღვთის სახლია.

**- ღირსების ორდენი დიდი აღიარებაა.**

- ჯილდო ღირსეულთა ხვედრია. ის ზერელედ, ხელის ერთი მოსმით არ დაგვიმსახურებია. შეიძლება, გარკვეული ავანსიც იყოს. მთიელმა კაცმა ამაგის დაფასება იცის, არც გაწეული შრომისთვის ითხოვს გასამრჯელოს. ცხადია, რომ მეტის გაკეთება გვმართებს. ჩვენი ფოლკლორის სკივრი ამოუწურავ განძს ინახავს. მისი დაკარგვა არ გვეპატიება. იუნესკომ ქართული ფასეულობანი არამატერიალური კულტურული ძეგლების ნუსხაში შეიტანა. თუ სცენაზე, ცხოვრებაში მყარად ვიდგებით, კიდევ მრავალ აღიარებას მოვესწრებით. პატარა ქვეყნის შვილებს სპორტში, ხელოვნებაში, მწერლობაში ისეთი სიმაღლეები გვაქვს დაპყრობილი, რაც დიდი ქვეყნებისთვისაც კი წარმოუდგენელია. არ ვჩერდებით. თქვენთან საუბარს დიდი ილიას სიტყვებით დავამთავრებ: «მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა»...

# მინდობილი საქმის ერთგულები

***ოლადაურის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი მარეთის ხეობის 6 სოფელს - კარაპეტს, მაწყვალთას, ოლადაურს, გორს, პაპოშვილებსა და მახალაკიძეებს ემსახურება. ექიმ მაია ბოლქვაძესა და ცენტრში დასაქმებულ უმცროს სამედიცინო პერსონალს ზაფხულში, როცა მოხუცებისა და ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩირუხის, სანალიას, მაწყვალთის მთის ტერიტორიებზე მიდის პირუტყვის საპატრონებლად და დასასვენებლად, მომსახურების არეალი ეზრდებათ***

თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა ცენტრის შენობის ინტერიერი, სამუშაო ოთახები. ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების მობილიზების შემდეგ, ეს პრობლემა მოიხსნა, - გვითხრა ოლადაურელმა ბადრი ქარცივაძემ. - ბათუმში რთული ოპერაცია გავიკეთე. ექიმებმა სისტემატური სამედიცინო პატრონაჟი დამიწესეს, რასაც მაია ბოლქვაძე მიწევს.

ცენტრის პერსონალი სასმელი და ტექნიკური წყლის მიწოდებაში არსებულ პრობლემებზე საუბრობდა. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ფუტკარაძე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ემზარ აბაშიძე საქმის ერთგულ ექიმს მაია ბოლქვაძეს დახმარებას შეპირდნენ. ამ ეტაპზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრს წყალი სკოლის ეზოში არსებული ონკანიდან მიეწოდება. სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ, ალტერნატიულ ვარიანტს გამონახავენ.

- ჩვენი ვალია ცენტრის ექიმსა და პერსონალს თანადგომა არ მოვაკლოთ. ისინი ყველა ოჯახის დამხმარე და საპატიო სტუმრები არიან, - გვითხრა სოფელ ოლადაურის თავკაცმა გიორგი მაკარაძემ.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# რესან ჟოჟაძის ხის საწარმო შესაძლოა, ახლო მომავალში დაიხუროს

ზიჭრია დავლაძე 597 25 25 72

***საათები, სამზარეულოს ჭურჭელი, სხვადასხვა დეკორატიული ნივთი - ამ და სხვა საგნებს, ზემო აჭარაში მცხოვრები რესან ჟოჟაძე მხოლოდ ხის მასალისგან ამზადებს. ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რესან ჟოჟაძე გაზეთ „აჭარის“ მკითხველმა ჯერ კიდევ გასულ წელს, პანდემიის დროს გაიცნო. სწორედ ამ რთულ პერიოდს უკავშირდება მის მიერ წამოწყებული საქმიანობაც, რომელიც დურგლისთვის ჯერ ჰობი იყო, შემდეგ კი შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა***

- როცა საქართველოში უმუშევრობა იყო, გამოსავალს ვეძებდი, მინდოდა, შემოსავლის წყარო მქონოდა. პირველად ხის მაჯის საათი დავამზადე, ამას მოჰყვა ჯამები, სასალათეები, ცომის მოსაზელი დეკორატიული ჭურჭელი. ეს ყველაფერი, ახლობლების გარდა, სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მოსახლეობასაც მოეწონა და მეც ვიფიქრე, რატომაც არა, მეტს დავამზადებ და ასე ავაწყობ ჩემს ბიზნესს-მეთქი.

**- სამუშაო მასალას ადგილზე მოიპოვებთ თუ ყიდულობთ?**

- მეზობლისგან ვყიდულობ ხის მასალას, ზოგჯერ მეც ვამზადებ. აუცილებელია, ხმელი იყოს, თუ არ არის, თავად ვახმობ და შემდეგ ვიწყებ მუშაობას. თუ ნედლით დამზადებ ნივთებს, მალე გაფუჭდება. თითოეულის დამზადებას 4-5 საათი სჭირდება. ამ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყანაში ვაგზავნი.

**- თვითნასწავლი დურგალი ხარ?**

- ბაბუა იყო დურგალი. ცამეტი წლის ვიყავი, როდესაც ხეზე მუშაობით დავინტერესდი, შემდეგ კი მეზობელმა შემასწავლა ეს საქმიანობა, მას ჰქონდა პროფესიული ცოდნა დურგლობაში. ძალიან ძნელია მარტო ამ ნივთების დამზადება. ადრე შემეძლო, მაგრამ გაიზარდა მოთხოვნა და ვეღარ ვასწრებ მცირე დროში ამდენი ადამიანის მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ პანდემიამ გაახსენათ ბაბუის ეს საქმიანობა?**

- მეტწილად, კი. მანამდე თურქეთში გადავდიოდი, თხილს და ჩაის ვკრეფდი და ამით ვარჩენდი ოჯახს. პანდემიის დროს კი „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში განცხადება დავწერე. პირველად უარყოფითი პასუხი მოგვივიდა, თუმცა არ დავნებდი, კიდევ ერთხელ ვცადე და შედეგმაც არ დააყოვნა. მივიღე დაფინანსება, შევიძინე დანადგარი, ავაშენე ერთსართულიანი საწარმო. ამ ეტაპზე ორი თანამშრომელი მყავს. სოფელშიც მყავს დასაქმებული ახალგაზრდები.

**- პანდემიის შემდეგ, წინსვლა თუ გაქვთ?**

- სოფელ უჩხითში, საწარმოსთან მოსვლამდე, დაიდგა ნიშნულები წარწერით: რესან ჟოჟაძის საწარმო. მსტუმრობენ როგორც ადგილობრივები, ასევე ტურისტები. ერთადერთი, რაც მუშაობაში ხელს გვიშლის, ის არის, რომ მეწყერსაშიში ზონაა და დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ. იმედია, შესაბამისი რეაგირება მოხდება და საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს.

**- მის უსაფრთხო ადგილას გადატანაზე ფიქრობთ?**

- რა თქმა უნდა, თუმცა არ ვიცი, როდის რა მოხდება. მე ჩემი ხარჯებით ამას ვერ შევძლებ. განცხადება დაწერილი მაქვს, მუნიციპალიტეტსაც მივმართე და პასუხს ველოდები. ორ-სამ თვეში ისევ დაიწყება წვიმები. სახლსაც, რომელიც სახელოსნოსთან ახლოს დგას, ბზარები გაუჩნდა, დასკვნაც დადებულია, რომ ტერიტორია მეწყერსაშიშია. რა თქმა უნდა, დაიხურება საწარმო.

**- როდის გაიგეთ, რომ მეწყერსაშიშ ზონაშია საწარმო აშენებული?**

- შარშან, წვიმების დროს, მიწის უზარმაზარი მასა ჩამოწვა. გეოლოგიური დასკვნით დადგინდა, რომ ეს ტერიტორია სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია. წლების განმავლობაში ვცხოვრობთ უჩხითში. ალბათ, ყოველთვის იყო ეს საშიშროება, თუმც მეწყერი არ ჩამოწოლილა. ეს რომ მცოდნოდა, საწარმოს ასეთ ადგილას არ ავაშენებდი. საცხოვრებელი სახლი სხვაგან არ გამაჩნია, ამას ვერ შევიცვლიდი - სადაც ვცხოვრობ, საწარმოც იქ მინდოდა. ბევრი გეგმაც მქონდა, რომლებსაც, ალბათ, ვერ განვახორციელებ.

**- ბატონო რესან, საკმაოდ ბევრი მომხმარებელი შეიძინეთ ამ 2 წლის განმავლობაში. მათ რას ეტყვით?**

- არ მინდა მომხმარებლის დაკარგვა. თუ რაიმე გამოსწორდა, შევძლებ საქმიანობის გაგრძელებას. ჩემ მიერ შექმნილი ნივთები თითქმის ყველა ოჯახშია, ყველა სუფრას ალამაზებს და მეც მიხარია. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც მოტივაცია მომცა, რომ ბაბუის დაწყებული საქმე ხარისხიანად გამეგრძელებინა.

# მეგობრის ხსოვნას მიუძღვნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ბათუმელი ვეტერანები აქტიურ ცხოვრებას ეწევიან და მეგობრობენ კიდეც - დილით ერთად ვარჯიშობენ, დადიან ბულვარში, ჯანმრთელობას იკაჟებენ, აწყობენ სხვადასხვა სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებას, ერთად დადიან ექსკურსიებზე, საღამოებზე, მუზეუმებში, დელფინარიუმში***

ამჯერად გადაწყვიტეს, პატივი მიეგოთ გარდაცვლილი მეგობრის - იზოლდა კვესელავას ხსოვნისათვის და ბათუმის ზღვისპირა პარკის ვეტერანთა კლუბში „ნონა“ ქართულ ნარდში ქალთა შორის ტურნირი ჩაატარეს.

შეჯიბრებაში გაიმარჯვა ეთერ ნაკაშიძემ, მეორე ადგილზე გავიდა ნინო აბაშიძე, მესამეზე გარდაცვლილის და - ნათელა კვესელავა.

ტურნიის ფინანსური მხარდაჭერისთვის ვეტერანები მადლობას უხდიან ყოფილ სპორტსმენს, ვეტერან თემურ შავაძეს.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ მასობრივი სპორტის აქტიური ორგანიზატორი, აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი შალვა ტაბაღუა.

# რას ვყიდულობთ ბანგლადეშიდან?

საქართველოში ბანგლადეშიდან იმპორტი 2,5-ჯერ გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, თუ გასული წლის 5 თვეში აღნიშნულ ქვეყნიდან 701,7 ათასი აშშ დოლარის პროდუქცია შემოვიდა, წელს ანალოგიურ პერიოდში 1,775 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

აი, ტოპ-10 პროდუქტი, რომლებიც წელს ბანგლადეშში ყველაზე დიდი ოდენობით შევიძინეთ: დაფასოებული სამკურნალო საშუალებები (508,8 ათასი აშშ დოლარი); მაისურები, თბილი კვართები და ტრიკოტაჟის სხვა ნაწარმი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი (345,4 ათასი აშშ დოლარი); თამბაქოს ნედლეული, თამბაქოს ნარჩენები (176,4 ათასი აშშ დოლარი); ტრიკოტაჟის ქვედა საცვლები - მამაკაცის ან ბიჭის (125 ათასი აშშ დოლარი); საბავშვო ტანსაცმელი - ტრიკოტაჟის, მანქანით ან ხელით ნაქსოვი (92,1 ათასი აშშ დოლარი); ტრიკოტაჟის ქვედა საცვლები ქალისა და გოგონასი ( 87,9 ათასი აშშ დოლარი); კოსტუმები, კომპლექტები და სხვა - მამაკაცის და ბიჭის (80,1 ათასი აშშ დოლარი); საბავშვო ტანსაცმელი (54,7 ათასი აშშ დოლარი); სვიტერები, პულოვერები და ტრიკოტაჟის ანალოგიური ნაწარმი, ნაქსოვი (51 ათასი აშშ დოლარი); კოსტუმები, კომპლექტები, კომბინეზონები, ბრიჯები და შორტები - ქალისა და გოგონასი (45,8 ათასი აშშ დოლარი).

**ამირან გურიელიძე**

## უკრაინა

* * *

რუსულმა ძალებმა ხარკოვის ოლქის დასახლება პეჩენეგი დაბომბეს, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა და ერთი - დაშავდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია სოფლის გამგებელ ალექსანდრ გუსაროვზე დაყრდნობით ავრცელებს. „დაბომბვა, რომელმაც დღეს ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ნებისმიერ მომენტში შეიძლება განმეორდეს. ძალიან გთხოვთ, იყავით ყურადღებით და ფრთხილად, დარჩით თავშესაფრებთან ან დაბომბვისგან დასაცავ საიმედო ადგილებთან ახლოს“, - აღნიშნა მან. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ ოკუპანტებმა სუმის ოლქის სამი თემიც დაბომბეს.

* * *

უკრაინელმა დამცველებმა ქვეყნის სამხრეთით, მიკოლაივის ოლქის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე 36 ოკუპანტი, ტექნიკა და საბრძოლო მასალების ორი საწყობი გაანადგურეს, - ამის შესახებ ოპერატიული სარდლობა „სამხრეთი“ იუწყება. სარდლობაში აცხადებენ, რომ შავ ზღვაში დგას 2 სარაკეტო ხომალდი, რომელიც აღჭურვილია „კალიბრის“ ტიპის საკრუიზო რაკეტით, ასევე, განთავსებულია 3 დიდი სადესანტო ხომალდი.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის ინფორმაციით, მან კანადის პრემიერ-მინისტრ ჯასტინ ტრუდოს განუცხადა, რომ უკრაინელები არასოდეს მიიღებდნენ კანადის გადაწყვეტილებას გაზსადენ „ჩრდილოეთ ნაკადი 1“-ის ტურბინასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ტურბინის გერმანიისთვის გადაცემა სანქციების დარღვევაა. „ეს საკითხი მხოლოდ ტურბინას არ ეხება. ეს არის სანქციების დაცვის საკითხი. თუ ახლა ერთი დაირღვევა, სხვების დარღვევა დროის საკითხია. რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს გაზით შანტაჟს და სანქციების დარღვევის პროვოცირებას, არსებობს საკმარისი მარშრუტები რუსული გაზის ევროპაში ტრანზიტისთვის და ყველა ქვეყანამ უნდა დაიცვას პრინციპები“, - აღნიშნა ზელენსკიმ. შეგახსენებთ: კანადამ რამდენიმე დღის წინ მიიღო გადაწყვეტილება, „ჩრდილოეთ ნაკადი 1“-ის ექსპლუატაციისთვის საჭირო შეკეთებული ტურბინა დააბრუნოს.

* * *

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დონეცკისა და ბახმუტის მიმართულებებით, ასევე კამენკას, ნოვომიხაილოვკასა და ვუგლედარის დასახლებების ტერიტორიებზე მტრის თავდასხმები მოიგერიეს, - იუწყება უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი. მათივე ცნობით, სლავიანსკის მიმართულებით მტერმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა რამდენიმე დასახლებას. საჰაერო თავდასხმა განხორციელდა ბოგოროდიჩნის მახლობლად. „დონეცკის მიმართულებით მტრის ქვედანაყოფებმა ცეცხლი გაუხსნეს სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურას დონეცკის, სევერსკის, ვერხნეკამენსკოეს, გრიგოროვკას, ივანო-დარიევკას, სპორნოესა და სხვა დასახლებების ტერიტორიებს. მტერი გრიგოროვკას მახლობლად თავდასხმითი ოპერაციების ჩატარებას ცდილობს, ბრძოლა გრძელდება. ვერხნეკამენსკოეს, სპოენოესა და სერებრიანკას დასახლებების რაიონებში თავდასხმის მოქმედებები წარმატებით მოიგერიეს ჩვენმა დამცველებმა“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ იყენებს. „რუსეთი იყენებს კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერს“ ფრონტის ხაზის ძალების გასაძლიერებლად და პერსონალის დანაკლისისა და მსხვერპლის შესამსუბუქებლად. „ვაგნერმა“, თითქმის დანამდვილებით, ცენტრალური როლი შეასრულა ბოლო ბრძოლაში, მათ შორის პოპასნიასა და ლისიჩანსკის დაპყრობაში. ამ ბრძოლამ ჯგუფს დიდი მსხვერპლი მიაყენა“, - აღნიშნულია გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშში. უწყების შეფასებით, „ვაგნერი“ აუარესებს პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების სტანდარტებს, ქირაობს მსჯავრდებულებს და შავ სიაში შეყვანილ პირებს, რაც, დიდი ალბათობით, იმოქმედებს ჯგუფის მომავალ ოპერატიულ ეფექტურობაზე. „ვაგნერის“ ხელმძღვანელი ევგენი პრიგოჟინი ახლახან გახდა რუსეთის ფედერაციის გმირი ლუგანსკში „ვაგნერის“ მიერ განხორციელებული ქმედებების გამო. მაშინ, როდესაც რამდენიმე ძალიან მაღალი რანგის რუსი სამხედრო მეთაური იცვლება, სავარაუდოდ, ეს გაამწვავებს უკმაყოფილებას სამხედროებსა და „ვაგნერს“ შორის, ასევე, უარყოფითად იმოქმედებს რუსი სამხედროების საბრძოლო სულისკვეთებაზე“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/07/22, 21 ³⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ცოცხალი წიგნები“ – ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***აჭარის მწერალთა სახლში ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში თანამედროვე მწერლებთან შეხვედრა გაიმართა***

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ცირა ბარბაქაძე (პოეტი, ლიტერატორი, ფილოლოგიის დოქტორი, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი), გურამ მეგრელიშვილი (პროზაიკოსი, პუბლიცისტი, კინოსცენარისტი, დრამატურგი, არაერთი წიგნის ავტორი, რამდენიმე პრემიის მფლობელი), დათია ბადალაშვილი (პროზაიკოსი, გაზეთ „ივერიის“ პრემიის ლაურეატი, 2018 წლის პენ-მარათონის ფინალისტი და 2019 წლის „წინანდლის პრემიის“ ლაურეატი, მასწავლებელი, სოფელ დიდ თონეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი), ლელა ცუცქირიძე (საბავშვო მწერალი, პოეტი, მხატვარ-ილუსტრატორი, საბავშვო სიმღერების ტექსტების ავტორი, არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი).

აღნიშნული პროექტი 2015 წლიდან ხორციელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით. მისი ხელმძღვანელია ქეთევან დუმბაძე, კოორდინატორი - მარიამ წიკლაური. პროექტის შექმნის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 100-მდე მწერალმა სოციალურად დაუცველი მწერლების დასახმარებლად, საქართველოს პარლამენტსა და კულტურის სამინისტროს პეტიციით მიმართა. ერთ-ერთი ხელმომწერი იყო პოეტი მარიამ წიკლაური. ამის შემდეგ მარიამ წიკლაურმა და ქეთევან დუმბაძემ დაიწყეს პროექტის შექმნაზე ფიქრი. წლების განმავლობაში „ცოცხალი წიგნები“ შეხვდა არაერთ მკითხველს რეგიონებში, რაიონებში, სოფლის სკოლებში, ასევე ჯარისკაცებს, პენიტენციური დაწესებულებების პატიმრებს.

პროექტის ავტორები რეგიონებში მოგზაურობისას მწერლებს სთხოვენ დღიურის წარმოებას. მოგვიანებით ეს დღიურები შეიკრიბება და წიგნად გამოიცემა, რაც თავისთავად საინტერესოა.

წელს ქართველ მწერლებთან ერთად, პროექტში მონაწილეობდა უკრაინელი პოეტი ნატალია ტროჰიმი, რომელიც ომამდე იმყოფებოდა ლიტვაში, ლიტერატურულ ფესტივალზე, სადაც გაეცნო ქართულ პოეზიას. როგორც აჭარის მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელიძემ გვითხრა, ქართული პოეზია ქალბატონ ნატალიას ძალიან მოსწონებია და მას შემდეგ სისტემატურად თარგმნის უკრაინულ ენაზე. მან უკვე თარგმნა ცირა ბარბაქაძისა და ლელა ცუცქირიძის ლექსები. რამდენიმე მწერალთა სახლში გამართულ შეხვედრაზეც წაიკითხა.

- ეს არის საოცარი პროექტი - ავტორები ჩადიან რეგიონებში და ხვდებიან მკითხველებს. ეს ემოციების გაცვლაა, ასე იბადება ახალი იდეები. არა მხოლოდ საქართველოში მოგზაურობენ თანამედროვე მწერლები, არამედ ევროპის ქვეყნებშიც, მიმდინარეობს მთარგმნელობითი მუშაობაც. გამოიცა არაერთი კარგი წიგნი, - გვითხრა ცირა ბარბაქაძემ.

- საინტერესო იყო ბათუმური შეხვედრა, მკითხველისგან მოვისმინე შეფასებები, აზრი ჩემს წიგნებზე, რასაც გავითვალისწინებ შემოქმედებით პროცესში. მე ვწერ დოკუმენტურ პროზას, მხატვრულ ლიტერატურასაც, როგორც მასწავლებლისთვის, ისე მშობლებისთვის. ასეთი ცოცხალი კონტაქტი მკითხველთან მაძლევს იმის გააზრების საშუალებას, თუ რა ახალ თემებზე უნდა ვიმუშაო, - გვითხრა გურამ მეგრელიშვილმა.

- შეხვედრაზე ვისაუბრე ჩვენ გარშემო არსებულ ძალადობაზე, რომელზეც ხანდახან თვალს ვხუჭავთ. ძალადობა ათასგვარი ფორმისა და სახისაა, თუნდაც ტელევიზიებით. ჩემი აზრით, პრევენცია ისაა, რომ მას დავუპირისპირდეთ ღიად, ოღონდ არაძალადობრივი გზით. ჩვენ - ადამიანებს უფლება გვაქვს, ვიყოთ ბედნიერები, განსაკუთრებით, როცა ბავშვზეა საუბარი. ცხოვრება, როცა ადამიანი ასაკში შედის, ისედაც რთულდება. ამის გამოსწორება, ვფიქრობ, უფრო მეტი განათლებითაა შესაძლებელი, უფრო მეტი საუბრით იმაზე, რაც მიუღებელია. ოცი წლის წინ ასე ღიად ძალადობაზე არავინ საუბრობდა. საზოგადოება მიხვდა, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ეს თვითგანადგურებამდე მიგვიყვანს. ასეთი შეხვედრები ყოველთვის საინტერესო და შედეგის მომტანი არის. რაც უფრო მეტი ადამიანი ილაპარაკებს წიგნებზე, მით უკეთესი. ეს არ არის მარტო ავტორის პოპულარიზაციისთვის. როცა პატარა ვიყავი, ცოცხალი მწერალი რომ ამოსულიყო სოფელში, ჩემთვის დღესასწაული იქნებოდა. ვიღაცას მწერალი „კოსტუმიანი“ წარმოუდგენია და ასეთ შეხვედრებზე ეს შეხედულება იცვლება, ხვდებიან, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, - თქვა ჩვენთან საუბარში დათია ბადალაშვილმა.

- ამ პროექტში მეც ვმონაწილეობდი ადრე, წელსაც, სექტემბერში ჩავერთვები. დღეს შევხვდით ავტორებს, რომლებსაც საინტერესო შემოქმედება აქვთ. გავეცანი უკრაინელ ქალბატონს, რომელიც თარგმნის უკრაინულ ენაზე ქართველ მწერალთა შემოქმედებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ერების ლიტერატურულ მეგობრობაში, - აღნიშნა პოეტმა როინ აბუსელიძემ.

- მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ერთმანეთს არა მხოლოდ ლექსებით მოვეფერეთ, არამედ ლიტერატურაში წამოჭრილ პრობლემებზეც ვისაუბრეთ. წარმატებას ვუსურვებ პროექტს, ასევე, აჭარის მწერალთა სახლს და აქ მოღვაწე მწერლებს, - თქვა ლელა ცუცქირიძემ.

- მაინტერესებს პოეზიის საღამოები, რადგან თავადაც ვწერ და ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია ჩემთვის უკვე შემდგარ მწერლებთან შეხვედრა, მათი მოსმენა, გამოცდილების გაზიარება. საინტერესო იყო ჩემთვის ახალი ადამიანის აღმოჩენა დათია ბადალაშვილის სახით და ის თემატიკაც, რაზეც წერს, ასევე ცირა ბარბაქიძესთან და ლელა ცუცქირიძესთან შეხვედრა, თუმცა მათ შემოქმედებას უკვე ვიცნობდი, - აღნიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ანა ვარშანიძემ.

ამავე პროექტის ფარგლებში ილია ჭავჭავაძის მუზეუმში ლიტერატურული საღამო გაიმართა, რომელშიც „ცოცხალი წიგნების“ ეგიდით ბათუმში ჩამობრძანებული შემოქმედები მონაწილეობდნენ.

# გელათში კედლის მხატვრობის გადარჩენის სამუშაოები გრძელდება

***გელათის სამონასტრო კომპლექსს იტალიელი სპეციალისტების გაფართოებული ჯგუფი ეწვია***

მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში ისინი ქართველ სპეციალისტებთან ერთად სამონასტრო კომპლექსის ძირითად ტაძარში, დასავლეთ მკლავის კამარის დაზიანებული კედლის მხატვრობის გადასარჩენად, კვლევებზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით ყველა საჭირო სამუშაოს ჩაატარებენ. შესაბამისად, ამ ნაწილში განთავსებული მხატვრობა ზამთრის სეზონს დაცული შეხვდება, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

იტალიელ ექსპერტთა ეს ჯგუფი გელათში 13 თვის წინ ჩამოვიდა და ძირითადი ტაძრის დასავლეთ მკლავის ყველაზე დაზიანებული მხატვრობა ჩამოცვენას გადაარჩინა. მათ შორის იყო მაცხოვრის სახეც. სასიხარულოა, რომ მხატვრობის ეს ნაწილი დღესაც უცვლელად არის შენარჩუნებული, რაც გამოყენებული მეთოდის სისწორეზე მეტყველებს.

დადასტურებულია, რომ ტაძარში წყლის ინფილტრაცია სრულად აღმოფხვრილია და კედლის მხატვრობის ჩამოშლა ასევე სრულად შეჩერებულია, თუმცა გამომარილება გრძელდება. შესაბამისად, გრძელდება სპეციალისტების მიერ 24-საათიან რეჟიმში კედლის მხატვრობის მონიტორინგი და მარილების მოშორება. ამასთან, ოპტიმალურად მიმდინარეობს კედლების შრობის პროცესი მას შემდეგ, რაც იუნესკოს სპეციალისტების რჩევით, ტაძრის სახურავის ერთი ნაწილიდან მოიხსნა მოჭიქული კრამიტი და ნესტის აორთქლება ზემოდანაც გახდა შესაძლებელი. ადგილზე მუშაობდა იუნესკოს ექსპერტების კიდევ ერთი ჯგუფი კლიმატოლოგ ალესანდრო მასარისა და კედლის მხატვრობის სპეციალისტ მარიო პულიერის შემადგენლობით. ორივე დროებითი გადახურვის მოწყობის პროცესს საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე აკვირდებოდა. კერძოდ, ალესანდრო მასარი ტაძარში ტენიანობის მონიტორინგზეა პასუხისმგებელი, ხოლო მარიო პულიერი კედლის მხატვრობის მდგომარეობას უწევდა მონიტორინგს. იუნესკოს ექსპერტთა ორმა ჯგუფმა (კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტები მარიო პულიერი და ვინჩენცო ჩენტანი და ძეგლის გადახურვის სპეციალისტები, მსოფლიო დონის არქიტექტორ-რესტავრატორი, პროფესორი უგო ტონიეტი და სარა სტეფანინი) ადგილზე შეისწავლა გელათში შექმნილი მდგომარეობა და კულტურის სამინისტროს წარუდგინა საექსპერტო დასკვნა, რომელშიც დეტალურად იყო შეფასებული გელათის სამონასტრო კომპლექსში არსებული მდგომარეობა, ამასთან, მოცემული იყო კონკრეტული რეკომენდაციები. ამის შემდეგ, გელათის სამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს

2021 წლის სექტემბერში ვინჩენცო ჩენტანი და ნოემბერში მარიო პულიერი ეწვია. 2021 წლის ნოემბერში კი, კულტურის სამინისტროს მოწვევით, გელათს ცნობილი კლიმატოლოგი ალესანდრო მასარი სტუმრობდა, რომელმაც ადგილზე შეისწავლა არსებული მდგომარეობა. სწორედ ამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და ქართველ სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად დაიგეგმა შემდგომი სამოქმედო ნაბიჯები.

ამჟამად გელათში ჩამოსული ჯგუფის მიერ განსახორციელებელ სამუშაოებს ზედამხედველობას კვლავ იგივე პროფესიონალები გაუწევენ.

ანკა ჩხიკვაძე